

ახალი აღქმა

რუბრიკის სტუმარი

პაპა შამყვია



20 წლის ქართველი ბიზნესელის კრეატიული ბრენდი

რაცომ დაარქვა ბიზნეს ორენოვანი სახედი და რა კავშირი აქვს ხაჭაპურიცაფიონს კდასიკურ მუსიკასთან

20 სტუდენტი ნუცა ციმაკურიძე კონსერვატორიაში კლასიკური ვოკალის განხრით სწავლობს; პარალელურად, ოჯახის დახმარებით მცირე ბიზნესი წამოიწყო, სახელწოდებით: ხაჭაპურიცაფიონ. ეს იუმორისტული სახელი, ნუცას განმარტებით, ყველაფრის „გახაჭაპურებას“ ნიშნავს, თუმცა საკონდიტრო პროდუქციასაც ყიდის. დღეს ბიზნესი და როებით დახურულია, მაგრამ ახალგაზრდა ბიზნესელის თქმით, ახლო მომავალში ბაზარზე დაბრუნება გარდაუვალია. „ნებისმიერი ადამიანი ხაჭაპურის გახსენებაზე ჩვენთან უნდა რეკავდეს, რადგან ხაჭაპურს სიყვარულით ვამზადებთ და ის საუკეთესოა“, — ეს ნუცას სიტყვებია. ბიზნესი სწორედ იმიტომ წამოიწყო, საკუთარი ოცნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხა შეეგროვებინა და სწავლა უცხოეთის რომელიმე მონიანე კონსერვატორიაში გაეგრძელებინა.

— ვიცი, საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად წამოიწყო. თბილისის კონსერვატორიაში შესაძლებელია სასურველი განათლების მიღება?

— ბიზნესი მართლაც ამ მიზნით წამოიწყო, მაგრამ ერთ-მუსის პროგრამით, სრული დაფინანსებით ევროპის ერთ-ერთ კონსერვატორიაში მოვხვდი. ევროპაში სწავლის უდიდესი პლუსი ისაა, რომ ხარ მოვლენების ეპიცენტრში. უამრავი კონცერტი, ფესტივალი ტარდება და დიდი მანხია, დაგინახოს იმ ხალხმა, ვისაც შეუძლია ვარსკვლავად გაქციოს. თბილისის კონსერვატორიაში სწავლა მაღალ დონეზეა, თუმცა აქედან დიდ სცენაზე გზის გაკვალვა რთულია.

— რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმის მისაღწევად, რომ ჩვენი კონსერვატორიაც იქცეს საზღვარგარეთის მონიანე კონსერვატორიების საპირნონე სასწავლებლად?

— აუცილებელია მეტი კონცერტი და ფესტივალი, მასტერ-კლასებზე უცხოელების ხშირად მონაწილეობა, ასევე მეტი უცხოელი სტუდენტისთვის კარის გაღება, რათა მათ ჩვენი სახელი საზღვრებსგარეთ გაიტანონ.

— შენი შეფასებით, რა პერსპექტივები აქვს დღეს თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულს?

— სამწუხაროდ, საქართველოში ცნობილი აგენტები არ ჩამოდიან, რათა უნიჭიერესი მუსიკოსები წაიყვანონ. ჩვენ კი არ გვაქვს ფინანსები, გავცდეთ საქართველოს და მივიღოთ მონაწილეობა ფესტივალებში. არადა, ეს თავის წარმოჩენის ერთადერთი საშუალებაა. ქართველი მუსიკოსის ანაზღაურება მინიმალურია. ეს თუ არ გამოხსნორდა, ქვეყნიდან ხელოვანების გადინებას ვერ შევარჩევთ.

— ცოტა ხნის წინ გააპროტესტე, ოპერაში არ უშვებენ კონსერვატორიის სტუდენტებს ანუ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ მუსიკა. კიდევ რა შემთხვევებში აწყდები მსგავს უსამართლობას?

— ესეც ერთ-ერთი მაგალითია, რომ საქართველოში, მუსიკალურ სამყაროში პრობლემებია. ვფიქრობ, აუცილებელია რაიმე

კვლევის დაშვება სტუდენტებისთვის, რიგ-რიგობით მაინც რომ გვეკონდეს ოპერაში შესვლის საშუალება. ეს ხომ ჩვენთვის ყველაზე მაღალი მატერიაა.

— ისე ბიზნესწამოიწყო და დაბრუნდით. როგორც ვიცი, „ხაჭაპურიცაფიონ“ დროებით დახურულია. რატომ აიღე ტაიმ აუტი და როდის დაბრუნდები ბაზარზე?

— ბაზარზე ეს ბიზნესი აუცილებლად დაბრუნდება, რადგან შევქმენი ბრენდი, რომელიც მოკლე ხანში ძალიან პოპულარული გახდა. უბრალოდ, ახლა ძალიან დაძაბული პერიოდი მაქვს ჩემს ძირითად პროფესიულ საქმიანობაში და ბიზნესისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას ვეღარ ვასწრებდი, ხარისხის დაგდება კი არ მსურდა. მალე, „ხაჭაპურიცაფიონ“ აუცილებლად დაბრუნდება, თანაც უფრო გემრიელი ხაჭაპურით.

— რამე მნიშვნელოვან ცვლილებებსაც ხომ არ გეგმავე?

— გეგმავე სრულ რეორგანიზაციას. პირველ რიგში, უფრო ხელმისაწვდომ ადგილზე გადავალ და ბრენდსაც უფრო კრეატიულს გავხდი. ძალიან ბევრი იდეა დამიგროვდა.

— შენი ბიზნესი ტურიზტებში თუ იყო პოპულარული და გათვლა მათზე მაშინაც თუ გააკეთე, როცა ბრენდს ორენოვანი, „მონიგლისური“ სახელი შეურჩიე და თან ხაჭაპურზე გააკეთე აქცენტი?

— აქცენტი მართლაც გავაკეთე უცხოელებზეც, რადგან ხაჭაპური საქართველოს ერთ-ერთი საეტიკო ბარათია. მსურს, მათ მივანოლო წამდელი ხაჭაპური და არა ის, რაც ხშირად იყიდება ქალაქის ქუჩებში.

— შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში ტურიზმის წახალისებისთვის მსგავსი სახის მცირე ბიზნესი?

— დააკვირდით ქართულ ბაზარს, წაღველია უცხოური პროდუქტით. მაგალითად, საშაურმეებს მიაქვს ქალაქი, არადა, ქართველებს უამრავი უგემრიელესი კერძი გვაქვს.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვი, არ ველოდი ხალხისგან ასეთ გამოხმაურებას. შენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი ინტერესი და მოთხოვნა შენი პროდუქციისადმი?

— ასეთ ინტერესს მართლაც არ ველოდი, რადგან ახალი ბრენდის წარმოჩენა ძალიან რთულია, ეს უამრავ თანხასა და ენერჯის ითხოვს. ვფიქრობ, ზოგმა კრეატიულმა გადამწყვეტილებამ კარგი შედეგი მოგვცა, მათ შორის, სახელმაც.

— რამდენად ადვილია დღეს საქართველოში ახალი ბიზნესის წამოწყება და რა ძირითად სირთულეებს წააწყდები საქმიანობის დასაწყისში?

— ბიზნესის დაწყება მართლაც მარტივია, მაგრამ ძალიან რთულია განვითარება. ყველაფერს თანხები სჭირდება. ბანკები სესხს, თუ საერთოდ დაგიმტკიცეს, ძალიან მაღალ პროცენტში გასცემენ. ეს გადაუღებავ პრობლემებს ქმნის. კარგი იქნება, ბანკები თუ გადახედავენ თავის პოზიციას და კარგ, კრეატიულ იდეასა და პროექტსაც დააფინანსებენ, როგორც ეს ევროპაში ხდება.

— როგორც ვიცი, სამომავლოდ ქსელის შექმნასა და მცირე კავებების გახსნას გეგმავე. ამის განხორციელება შორეული პერსპექტივაა?

— ჩემი ოცნებაა გავაკეთო კავებები ქსელი, სადაც ყველაფერი კლასიკური მუსიკის იდეით იქნება შეფუთული.

— კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, ამ ბიზნესზე მთლიანად გადმოერთები?

— არა, ჩემი ცხოვრების გზა კლასიკურ მუსიკასთანაა გადაჯაჭვული, ბიზნესი კი უკეთ ცხოვრების საშუალებაა მხოლოდ.



პერსიანიუსი

ბათუმი პირლუიჯი კოლინას მოლოდინში

2017 წლის 22-23 მაისს, ბათუმი კავკასიის მასშტაბით პირველ საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმს (IBF Batumi) უმასპინძლებს. ფორუმი ჯდება ე.წ. MICE ტურიზმის სტრატეგიაში, რომლის შესახებაც საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციამ არცთუ დიდი ხნის წინ გამოთქვა ინიციატივა.

საქმიანი ტურიზმის (MICE ტურიზმის) ინდუსტრია დასავლეთის ქვეყნებში დაინერგა და ეკონომიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. დღესდღეობით MICE ტურიზმის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი. აღმოსავლეთის ქვეყნებში ლიდერის პოზიცია ჩინეთმა დაიმკვიდრა. საქართველოში კი MICE ტურიზმი ახალ, სწრაფგანვითარებად ტურისტულ სფეროს წარმოადგენს. ბათუმის საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი სწორედ MICE ტურიზმის მაგალითია.

როგორც IBF დამფუძნებელი გუგა კობახიძე აცხადებს: ღონისძიება სასტუმრო ეიფორიაში გაიმართება და მასში მსოფლიო კლასის 6 სპიკერი და 800 დელეგატი 14 ქვეყნიდან მიიღებს მონაწილეობას. IBF სპიკერები არიან:

დანანჯაია ჰეტიარანი — 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონი საჯარო გამოსვლებში. ის არის ადამიანური რესურსების განვითარების სპეციალისტი ტოპ-მენეჯერებსა და ბიზნესის მფლობელებთან მუშაობის დიდი გამოცდილებით.

შონ ფიცპატრიკი რაგბის ლეგენდაა, ის ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრების All Blacks-ის კაპიტანი იყო. ისაა ავტორი წიგნისა Winning Matters.

პიერლუიჯი კოლინა ფიჯამ წლის №1 მსაჯად აღიარა 6-ჯერ. პალის უნივერსიტეტმა კოლინა „სპორტულ სამყაროში თავისი წვლილისთვის“, მეცნიერებათა დოქტორის ნოდებით დააჯილდოვა. დღეს კოლინა ქოუჩია და მისი შესწავლის სფეროს წარმოადგენს გადამწყვეტილების მიღება.

კევინ გასკელი პორშესა და ლამბორგინის ხელმძღვანელი იყო. მან მოახერხა მილიარდი ფუნტის ღირებულების აქციების შექმნა არაერთი ბრენდისთვის.

მარშალ გოლდსმიტი ორჯერ დაასახელეს მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ლიდერშიც მთავროვნედ. ის ამერიკის ერთერთი ყველაზე მოთხოვნილი ქოუჩია.

ჯონ კინგი CultureSync-ის დამფუძნებელი პარტნიორი და პრეზიდენტი. მისი წიგნი Tribal Leadership ითვლება ყველა დროის საუკეთესო სახელმძღვანელოდ გუნდური მართვების კონცეფციებში.

„ვერსიანიუსი“

INTERNATIONAL BUSINESS FORUM

PIERLUIGI COLLINA
Leaders Worth Following

AWARDS

FIFA, SERIE A, THE UNIVERSITY OF HULL